პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 12 ნოემბერი № 267 (16697) ფასი 2 კაპ. 1976

ოქროს რთველი

აფხაზეთის ახს რესპუბლიკის გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა წლევანდელ ცუდ ამინდს ბეჯითი შრომა დაუპირისპირეს და შედეგიც კარგია. პლანტაციებში უკვე დაიწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა. სურათებზე: მანდარინის კრეფის ყოველდღიურ ნორმას ანა შუბინა (წინა პლანზე) ორმაგად ასრულებს. მანდარინის კრეფაში პირველი დღიდან დაწინაურდა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ზინაიდა ალეინიკოვა.

* * *

ა. საკოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა)

ხუთწლედის ჭაბუკებს

ბრიგადაში ყველა მოწინავეა

ყოველი დღე — მხოლოდ დამკვრელური!

საოქტომბრო დღესასწაულამდე დარჩენილი ყოველი დღე დამკვრელური უნდა იყოს. ამ დევიზით გაიშალა შეჯიბრება ჩვენს ბრიგადაში, კერძოდ გურამ ბაბაურსა და ნ. ყურაშვილს შორის. მათ ყველამ დაუჭირა მხარი.

ბრიგადის წევრებს შორის შეჯიბრების შედეგები ყოველდღიურად ჯამდებოდა და კარგი მაჩვენებლებითაც დამთავრდა. დღის დავალებებს 115-120 პროცენტით ასრულებდნენ.

შეჯიბრება გრძელდება. ყოველი დღე — მხოლოდ დამკვრელური. ასეთია ბრიგადის დევიზი.

რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად პროდუქციის ხარისხიც კარგია, ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში ჩვენი ბრიგადის მიერ დამზადებული ანევმატური მოწყობილობა, რომელიც მოტორვაგონების სექციებისათვის ის არის საჭირო, ყოველთვის პირველი წადგენისთანავე ბარდება.

ახლა ბრიგადაში არც ერთი ჩამორჩენილი აღარ გვყავს და იმისათვის ვიბრძვით, რომ თვითეული ჩვენთაგანი მაქსიმალურად ავლენდეს თავის შესაძლებლობას, მაღალი პასუხისმგებლობით შრომობდეს.

ო. საპაკაშვილი,
თბილისის ი. სტალინის ელექტროვაგონშემკეთებელი ჭარხნის მოტორვაგონიანი სექციების ხაბაჭრის მეავტომატეთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის კასშეხად

სამშობლოს — აფხაზური ციტრუსი

საბელმწიფოს მიეყიდება 25.324 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში, — თქვა „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ხინთბამ — მნიშვნელოვანი ადგილი მეციტრუსეობის უჭირავს. ამ მაღალრენტაბელური დარგის განვითარება პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების სისტემატური ყურადღების ცენტრშია.

მეურნეობებში კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად გაუმჯობესდა პლანტაციების მოვლა-დამუშავება, გაზარდა ფართობები, საგრძნობლად ამატა მოსავლიანობამ.

გალის რაიონის კოხორის, მზიურის, გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის და გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებმა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობა ეშერის სასწავლო მეურნეობამ, გუდაუთის რაიონის ლენინის სახელობის, გულრიფშის რაიონის კიროვისა და რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებმა მეციტრუსეობის განვითარების მოვლა-მოყვანის მდიდარი გამოცდილება დააგროვეს. მათი გამოცდილება ფართოდ ინერგება აეტონომიური რესპუბლიკის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში.

წლეულს მიუხედავად ცუდი ამინდისა აფხაზეთის ციტრუსების პლანტაციებში უხვი მოსავალი მწიფდება. ამჟამად მეციტრუსეობის მეურნეობათა ხელმძღვანელების, პარტიული ორგანიზაციების, მთელი ყურადღება მიპყრობილია ნარინჯოვანთა რთველის ორგანიზებულად ჩატარებაზე, მოსავლის უდანაკარგოდ აღებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაზე.

აფხაზეთის მშრომელებმა გეგმავალდებულებით სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 25.324 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. ამ დავალების შესასრულებლად მეციტრუსეებმა დროულად საჭირო რაოდენობით მომმარაგეს ნაყოფის ასაღები და გასაგზავნი ყუთები, შესაფუთი მასალები, უზრუნველყოფილი არიან ავტოტრანსპორტით და სხვ.

ნარინჯოვანთა პლანტაციებში ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა ორგანიზებულად დაიწყო. აფხაზეთში უკვე მოკრეფილია 2.000 ტონაზე მეტი ნაყოფი. ამ სამუშაოს პირველნი შეუდგნენ გალის რაიონის კოხორის ტ. კვეინაცხელიას სახელობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი გ. ჩაჩიბაია), გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის (დირექტორი ა. ავიძბა), გაგრის ციტრუსების (დირექტორი გ. ქირია), გუდაუთის რაიონის ფსირცხის (დირექტორი ბ. არგული) საბჭოთა მეურნეობები.

მარტო კოხორის საბჭოთა მეურნეობაში უკვე მოიკრიფა 800 ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი. მათი პირობაა 3.026 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდონ 3.600 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების დიდი რეზერვია ინდივიდუალურ სექტორში საკარმიდამო ნაკვეთების პლანტაციებში მიღებული მოსავალი. ვცდილობთ საკარმიდამო ნაკვეთებზე მიღებული ციტრუსოვანთა ნაყოფის მთელი მოსავალი სახელმწიფოს მიეყიდოს. მკაცრ კონტროლს ვანხორციელებთ ციტრუსოვანთა ნაყოფის დანაკარგებისა და დატაცების ფაქტების აღსაკვეთად.

აფხაზეთის მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან მეათე ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის განვითარების გრანდიოზული პერსპექტივებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოქტომბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სოფლის მშრომელთა შრომის მაღალი შეფასებით, გადაწყვიტეს პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება, სამშობლოს მისცენ მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

11 ნოემბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

„...ისტორიისა და კულტურის ძეგლები, რომლებმაც ხალხის გარჯისა და ნიჭის სიდიადე, მისი გმირული წარსული, სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარების მიღწევები შეინახონდრეცელ, ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა კუთვნილებაა და კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს ემსახურება... ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა, ეფექტიანი გამოყენება — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა მოქალაქის დიდი საზრუნავია, — ნათქვამია მოწინავე წერილში „ხალხის კუთვნილება“. — არ მოვაკლოთ ისტორიისა და კულტურის ძეგლებს მზრუნველობა, ყურადღება! ამას მოუწოდებს თვითეულ მათგანს კანონი, რომელიც ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ მიიღო. ხათუთი დამოკიდებულება სულიერი ღირებულებებისადმი, მშრომელთა კულტურული დონის შემდგომი ამაღლება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის ზრდას და ხაბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მათი შეგნების ამაღლებას.

9 ნოემბერს კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მოლაპარაკება. გაზეთი პირველ და მეორე გვერდებზე ბეჭდავს ცნობებს ამ მოლაპარაკების შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას პორტუგალიის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობისადმი, ამხანაგების ლ. ბრეჟნევის, ნ. პოდგორნის, ა. კოსიგინის მილოცვას ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ანტონიო აგოსტინიო ნეტოსა და პრემიერ-მინისტრის ამხანაგ ლოპუ დუ ნასიმენტუსადმი ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი წლისთავის გამო.

მესამე გვერდი მთლიანად ეთმობა „პრავდის“ მკითხველთა წერილებს. ავტორები მოუწოდებენ — „ხარისხისათვის პასუხისმგებელია თვითეული ჩვენგანი“, მსჯელობენ პოლიტინფორმაციის ეფექტიანობაზე, აკრიტიკებენ უსულგულობას. რუბრიკით „შემოწმების შემდეგ“ დაბეჭდილია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თ. მეხუთშვილის პასუხი „პრავდის“ რედაქციაში მიღებულ ა. ბიდბუნოვის წერილზე, რომელშიც მხილებული იყვნენ საქართველოს კურორტების სარემონტო-სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელები საბინაო ფართობის განაწილების წესების დარღვევის გამო. დამნაშავენი მკაცრად არიან დასჯილნი, წერილის ავტორის ა. ბიდბუნოვის ოჯახი დაკმაყოფილებულია სამართლიანი ბინით.

მეოთხე და მეხუთე გვერდებზე გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის ამბები. მეექვსე გვერდზე მკითხველები გაეცნობიან ჩვენი ქვეყნის ახალ ამბებს, კულტურისა და სპორტის ჭრონიკას.

ПРАВДА

ძმური მეგობრობის ვითარებაში

10 ნოემბერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციამ, რომელსაც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ედვარდ გერეკი** ხელმძღვანელობს, სადილი გამართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაბატოზოვი, ვ. ი. დოლგიხი, კ. თ. კატუშევი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. უ. ჩერნენკო,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

პოლონეთის მხრივ იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრები.

სადილზე გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **პ. იაროშევიჩი.**

ამ ვიზიტს საბჭოეთში, თქვა მან, ჩვენ უაღრესად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვინაიდან ეს ვიზიტი გამოვლინებაა ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების გამაერთიანებელი გულითადი და მჭიდროთანამშრომლობის, დამოჯერებლად ადასტურებს, თუ რაოდენ ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირთან ძმურ ურთიერთობას სოციალისტური პოლონეთისათვის — მისი უშიშროებისათვის, წარმატებული განვითარებისა და ღირსეული პოზიციისათვის თანამედროვე მსოფლიოში.

ყოველივე ეს გამოიხატა დოკუმენტით „პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის, პოლონელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცებისათვის“, რომელსაც დღეს მოაწერეს ხელი ჩვენმა ხელმძღვანელებმა, ამხანაგმა ედვარდ გერეკმა და ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა. ამ დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერთიანობის განმტკიცებისათვის, ჩვენი თანამშრომლობის განვითარებისათვის, ჩვენი მეგობრობის გაღრმავებისათვის.

გვინდა აღვიშვნათ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვა პ. იაროშევიჩმა, რომ ჩვენი პარტია, მთელი პოლონელი ხალხი მუდამ უერთგულებენ დიდი ოქტომბრის მაღალ იდეალებს — პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, ბრძოლას სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ჩვენი ხალხების სოციალისტურ მონაპოვართა დაცვამი თანამებრძოლთა ძმობის საპასუხო გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინი** აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში ყველაზე მეტად ვაღასებთ მეგობრობას,—კომუნისტების მეგობრობას, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა მეგობრობას. ეს აზრი განსაკუთრებული ძალით გამოსჭვიოდა ამ დღეებში ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. გერეკის სტუმრობაში, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მოლაპარაკების დროს, ამხანაგ პ. იაროშევიჩის დღევანდელ გამოსვლაში.

საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ პოლონეთს მეგობრობისა და თანამშრომლობის უმტკიცესი კავშირი აერთიანებთ. ეს არის ორი ქვეყნის მუშათა კლასის ერთობლივი რევოლუციური ტრადიციების კავშირი, თავისუფლებისა და დამოკიდებლობისათვის ბრძოლაში, ჩვენი ხალხების სოციალისტურ მონაპოვართა დაცვაში. ეს არის სოციალიზმისა და კომუნიზმის შენების დიად საქმეში, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვა-განმტკიცებაში ერთიანობის კავშირი. ეს არის მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულების, მაღალი კომუნისტური იდეალებს ერთგულების კავშირი.

ერთობლივი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელსაც დღეს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა და ედვარდ გერეკმა მოაწერეს ხელი, საბჭოეთ-პოლონეთის კავშირს ურყევებისა და ჩვენი გულითადი მეგობრობის ახალი დადასტურებაა. იგი განსაზღვრავს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მთავარ მიმართულებებს. ამ თანამშრომლობის გადამწყვეტი ფაქტორი იყო და არის ჩვენი მომძე კომუნისტური პარტიების პოლიტიკური ერთიანობა.

სადილმა ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

ედვარდ გერეკის გამოსვლა საბჭოთა ტელევიზიით

10 ნოემბერს საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზიით გადაიცა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ **ედვარდ გერეკის** ინტერვიუ.

ე. გერეკმა აღნიშნა, რომ პოლონელებზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს საბჭოეთის მიღწევები, ის მასშტაბი და ენერგია, რომლითაც სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები ხორციელდება. საბჭოთა კომუნისტების, საბჭოთა ხალხის გამოცდილებას და მიღწევებს ფასდაუდებელი და შთამაგონებელი მნიშვნელობა აქვს პოლონელებისათვის.

დაახასიათა რა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მოლაპარაკება, რომელიც ეს-ეს არის დამთავრდა, ე. გერეკმა თქვა: ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ საკითხები, თუ როგორ ვითარდება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა, რომელიც განსაკუთრებით დინამიკური და მრავალმხრივი იყო ამ ბოლო წლებში. აგრეთვე დავსახეთ მისი შემდგომი პერსპექტივები.

როგორც ე. გერეკმა აღნიშნა, გამართულმა მოლაპარაკებამ დადასტურა, რომ მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, ორივე სახელმწიფოს პოზიციები, რომ მათი საერთო მისწრაფებაა კიდევ უფრო განამტკიცონ სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის მოქმედების ერთიანობა და შეკავშირება, კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, განავითარონ დაძაბულობის შენელების პოლიტიკა.

ე. გერეკმა მადლობა გადიხადა იმისათვის, რომ პოლონეთის დელეგაცია საბჭოთა კავშირში ასე გულთბილად, ასე გულითადად მიიღეს. (საკდესი).

მოგზაურობენ ჩვენს ქვეყანაში

11 ნოემბერს მოსკოვიდან ალმა-ათაში გაემგზავრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია ედვარდ გერეკის ხელმძღვანელობით. ამ ექსკურსიაში მონაწილეობენ: **ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, ა. ნ. ბელუსოვი, ა. ნ. ბელეტინი, ა. ა. ბეზეკოვი, ა. ა. ბეზეკოვი, ა. ა. ბეზეკოვ

პარის ასეთი რეზერვი!

მეიხვეობა შემოსავლიანი დარგია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის პასუხად

სამტრედიის რაიონში მეიხვეობის ფაბრიკა, სადაც წელიწადში 1,2 მილიონ ფრთას გამოზრდიან.

ცენტნერი იხვის ხორცის წარმოებაზე დაიხარჯება 55 მანეთი, სახელმწიფოს მიეყიდება 174 მანეთად, მოგება იქნება 119 მანეთი.

სამტრედიის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველე გალინა ლეონავა, რომელიც კრასნოდარიდან საცდელად შემოყვანილ იხვებს უვლის.

ზ. სამსონიას ფოტო.

ცოდნა — ცოცხალ საქმეზე!

პროპაგანდისტთა და მსმენელთა დასაკმაყოფილებლად

ღრმად განვმარტოთ და შევისწავლოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მასალები.

...უფრო ენერგიულად გამოვავლინოთ ხელუხლებელი რეზერვები, უფრო ფართოდ გავავრცელოთ საუკეთესოთა გამოცდილება...

ალბათ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ ამოცანა: უნდა ვისწავლოთ უფრო ეფექტიანი ბრძოლა ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევი

სამტრედიის რაიონის მეცხოველეები ახლა ყოველწლიურად სახელმწიფოს ასყიდებენ

2.080 ტონა ხორცს.

მარტო მეიხვეობის საკოლმეურნეო-გათშორისო ფაბრიკა ყოველწლიურად მიჰყიდის სახელმწიფოს

2.500 ტონაზე ხორცს.

სამტრედიის რაიონში მეიხვეობის განვითარების პერსპექტივებზე გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი შალვა ცაგარეიშვილი.

კითხვა: გთხოვთ მოგვითხროთ, თუ როგორ დაიბადა ის აზრი, რომ სამტრედიის რაიონში საფუძველი ჩაეყროდა მეიხვეობის განვითარებას და მოწყობილიყო დიდი კომპლექსი?

პასუხი: როცა რაიონის სოფლებს, მის ეკონომიურ შესაძლებლობებს გულდასმით გავეცანით, გადაწყვიტეთ ასევე გულისხმიერად, მოჭირნახულე ადამიანის თვალით გადაგვეხედა რაიონის ფაუნისა და ფლორისათვის. ამ ერთობლივმა, როგორც ახლა ხშირად ვხმარობთ ხოლმე, კომპლექსურმა დაკვირვებამ, ჩვენი რაიონის სამეურნეო შესაძლებლობამ ბევრი საინტერესო აზრი წარმოშვა.

სამტრედიის რაიონი ძველთაგანვე ცნობილია, აღგილობრივი — სამტრედიული ჯიშის ქათმით. მაგრამ როცა სოფლებს ვეცნობოდით, შევნიშნეთ, რომ აქ ბევრგან არის ბუნებრივი ტბორები, სადაც იხვები დაცურავდნენ. სოფლის შშრომელებს, ვისაც იხვი ჰყავს, სულ იაფი უჯდებათ მისი გამოკვება. დავინტერესდით — რამდენი ჯდება კილოგრამი იხვის ხორცის წარმოება და სახელმწიფო დაბრუნდების ფასს რომ შეეფარდეთ, აღმოჩნდა, რომ ეს ფრინველი დიდძალ მოგებას მოგვცემდა და ამასთან ფრინველის ხორცით მოსახლეობის უზრუნველყოფაში სათანადო წვლილს შევიტანდით.

გულდასმით დავთვალიერეთ ის აგდილები, სადაც შეიძლებოდა მოგვიყოლ მეიხვეობის დიდი ფაბრიკა. ჩვენი გულის ნადები ზემდგომ პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს გავუზიეთ და თან დავძინეთ, ხომ შეიძლება, რომ სამტრედია არა მარტო ალუფი ქათმით იყოს ცნობილი, არამედ იხვითაც? სიმართლე გითხრათ, ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ჩვენს მოსაზრებას სკეპტიკურად შეხვდა. ჩვენთვის ამის გული არ გაუტეხია, პირიქით, უფრო მეტი გულისყურით ავწონ-დავწონეთ ყველა შესაძლებლობა.

კითხვა: როგორც ცნობილია, მეიხვეობაში დიდი გამოცდილება დაგროვეს რსფსრ-ს ბევრ მხარესა და ოლქში. ამისათვის ხომ საჭირო იყო გასცნობოდით იხვის მოვლა-პატრონობის მეთოდებსა და ეკონომიურ მაჩვენებლებს?

პასუხი: ბუნებრივად დაობადა ეს კითხვა. თუმცა მე ისეც ვაპირებდი ამ საკითხზე საუბარს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილესთან ფ. კანდელაკთან, საპროექტო ინსტიტუტის დირექტორთან ზ. ჩიტაიშვილთან და „საქფრინველმრეწვის“ განყოფილების გამგესთან ლ. ურუშაძესთან ერთად ამას წინათ მეიხვეობის გამოცდილების გასაცნობად ვიყავით კრასნოდარის მხარის კანეკსის რაიონის კოლმეურნეობა „პობედაში“.

რა თქმა უნდა, საინტერესოა მათი საქმიანობა, თუ რას მიაღწიეს ჩვენმა რუსმა მეგობრებმა.

კოლმეურნეობა „პობედას“ 23.400 ჰექტარი სავარგული აქვს. აქედან 19.362 ჰექტარი სახნავია. ყოველწლიურად კოლმეურნეობა 20 მილიონ მანეთისაზე მეტ პროდუქციას აწარმოებს. ფულადი შემოსავალი წელიწადში საშუალოდ 12-15 მილიონი მანეთია. ფერმებში 10 ათასი სული მსხვილფეხა საქონელი, 13 ათასი ღორი, 32 ათასი ქათამი და 30 ათასი იხვია.

როგორც ვხედავთ, უზარმაზარ საზოგადოებრივ მეურნეობასთან გვაქვს საქმე. აქ ყოველი ჰექტარი, ყოველი მტკაველი მიწა სიუხვის სამსახურშია. და ასეთი დიდი კოლმეურნეობის ეკონომიკაში საკმაო ადგილი მაინც მეიხვეობას უჭირავს.

კოლმეურნეობა ყოველწლიურად საშუალოდ 5,5 მილიონ ცალ კვერცხს აწარმოებს. მათ შორის 2,2 მილიონი იხვის კვერცხია. აქ წელიწადში 608 ათას იხვს ზრდიან. იხვი წელიწადში რამდენიმე ბუღობას იძლევა და სულ მოკლე დროში სასაქონლო პროდუქციას ვიღებთ. 55 დღის იხვი უკვე 2,2 კილოგრამს იწონის. შარშანწინ კოლმეურნეობამ 1.335 ტონა ფრინველის ხორცი აწარმოა, აქედან 1.299 ტონა იხვის ხორცი იყო. მეიხვეობიდან შემოსავალს ისიც ზრდის, რომ სხვა საინკუბატორო სადგურებისათვის მაღალხარისხოვან იხვის კვერცხს აწარმოებს. ცალ იხვის კვერცხში 40 კაპიკამდე იძლევიან, ე. ი. თითქმის ოთხჯერ მეტს, ვიდრე ქათმის კვერცხში.

კითხვა: ყოველივე ამას ხომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები აღწევენ, სადაც ზამთარი ჩვენთან შედარებით ხანგრძლივი და მკაცრია. სამტრედიის რაიონში კი ზამთრის სიმკაცრე თითქმის არ იგრძნობა. ცხადია, ასეთ პირობებში იხვის მოშრავლება უფრო ხანგრძლივ პერიოდში შეიძლება.

პასუხი: მეიხვეობას საქართველოში და განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში, სადაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია (მე ვგულისხმობ თბილ ამინდებს, წყალსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ანარჩენებს), დიდი მომავალი აქვს. ეს ხორცის წარმოების გადიდების დიდი რეზერვია. იხვების მომრავლება-გამოზრდის საუკეთესო პირობები გაბაფხულ-ზაფხულის პერიოდია. ჩვენში ხომ თითქმის მთელ წელიწადს თბილა. ამიტომ უბრალო საბაფხულო ბანაკების (მარტივი ტიპის) მოწყობით უფრო მეტი და იაფი ხორცის წარმოება შეგვიძლია მთელ წელიწადს. საბაფხულო ბანაკებში (წყალსატბორეებთან) იხვების საკვებად გამოვიყენებთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების იაფ ანარჩენებს, აგრეთვე კომბოსტოს და წყალმცენარეებს. ეს საშუალებას მოგვცემს ძალზე მცირე დანახარჯებით ვაწარმოოთ ფრინველის ხორცი.

კითხვა: ხომ ვერ გვეტყვით, ჩვენი რუსი მეგობრები როგორ ტექნოლოგიას იყენებენ იხვების გამოზრდაში?

პასუხი: ათ დღემდე იხვის ჭუჭულებს კაპიტალურ, ადამთბარ ბინებში ინახავენ. ჭუჭულებს სექციების ძიაედგით უვლიან. თვითეულ სექციაში 200 ფრთაა. ერთ კვადრატულ მეტრზე 30 ჭუჭული მოდის. შემდეგ 10 დღეს იხვის ჭუჭულებს აკლიმატიზატორებში, ე. ი. ნაკლებადდამთბარ შენობებში ათავსებენ. აქ ერთ კვადრატულ მეტრზე 20 მოზარდი ჰყავთ. 20 დღის შემდეგ 35 დღის განმავლობაში, ვიდრე დასაკლავ ასაკს მიაღწევდეს, იხვები გამოსაკვებ მოედნებზე, მსუბუქი ტიპის სადგომებში ჰყავთ. თვითეულ გამოსაკვებ მოედანზე 60-70 ათასი იხვია. ერთ იხვზე 7-8 კილოგრამი კონცენტრული საკვებია საჭირო. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ანარჩენებითა და წყალმცენარეებით კვების დროს კი დახარჯული საკვები 4,5 კილოგრამამდე მცირდება. ყოველი ცენტნერი იხვის ხორცის წარმოებაზე 55 მანეთი იხარჯება, ე. ი. კილოგრამი ხორცი 55 კაპიკი ჯდება. მაშასადამე, ქათმის ხორცთან შედარებით გაკილებით იაფია.

კითხვა: როგორია შრომის ორგანიზაცია მეიხვეობის ფაბრიკაში?

პასუხი: მეიხვეობაში შრომა რვოლურია. თვითეულ რგოლს 5-10 კაცი ემსახურება. თვითეულ კაცზე სამკვირიანი იხვების რგოლში 3,5 ათასი ფრთა ჰუჭული მოდის, შემდგომ პერიოდში კი თვითეული 1,5 ათას ფრთა იხვს უვლის ერთი ცენტნერი იხვის ხორცის წარმოებაზე 1,9 კაცდღე იხარჯება. თვითეული მეფრინველე თვეში 230-350 მანეთს იღებს. აქვე უნდა ითქვას, რომ იხვის ფაბრიკაში შრომა ძალზე გამარტივებულია, ვინაიდან სამუშაოთა დიდი ნაწილი მექანიზებულია. (მაგალითად, საკვების შემზადება და დარიგება, დარწყურება, ნაკელის გატანა და სხვ.).

კოლმეურნეობა თვითონ არ ხოცავს იხვებს, მას ცოცხლად აბარებს ხორცკომბინატს, სადაც დღეღამეში 30 ათას ფრთა იხვს გადაამუშავებენ. სახელმწიფო ცენტნერ იხვის ხორცში (ცოცხალი წონით) 174 მანეთს იძლევა. როგორც მკითხველი შეამჩნევს მოგება თვითეულ ცენტნერზე 119 მანეთს უდრის.

კითხვა: დავუბრუნდეთ სამტრედიის რაიონში მეიხვეობის განვითარების პერსპექტივებს. როგორ წარმოგიდგენიათ მომავალი მეიხვეობა, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგი?

პასუხი: სერიოზულად ვფიქრობთ ამ დარგის პერსპექტივაზე. როგორც მოგახსენეთ, ჩვენ თვითონ ვიყავით კრასნოდარის მხარის ერთ-ერთ ძლიერ კოლმეურნეობაში და საფუძვლიანად გავეცანით მათს გამოცდილებას. გარდა ამისა, ამ დღეებში ჩვენ მუშაკთა ერთი ჯგუფი კიდევ მივალენით კრასნოდარის მხარეში. მალე კი ახალგაზრდებს, რომლებიც შემდეგში სამტრედიის მეიხვეობის ფაბრიკაში იმუშავებენ, გავგზავნით რუსი მეგობრების მდიდარი გამოცდილების შესასწავლად.

აქვე მინდა დავძინო, რომ ჩვენს ფაბრიკაშიც მთლიანად ახალგაზრდები, ძირითადად ქალები იმუშავებენ, რომელთაც შრომისა და გართობა-დასვენების საუკეთესო პირობები ექნებათ.

ეფიქრობთ, ჩვენს მიერ შერჩეული ადგილმდებარეობა მეიხვეობის ფაბრიკისათვის ოპტიმალურ არ უნდა იყოს. სამტრედიის გარეუბანში მდებარე მეფრინველეობის ფერმისა და ნაბაკების მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მდინარე ცხენისწყლის ნაპირზე არსებული მეცხოველეობის ფერმის ბაზაზე შეიქმნება მეიხვეობის ეს საკოლმეურნეობათშორისო ფაბრიკა. იქ ერთდროულად სამკვირიანი 100 ათასი ფრთა იხვი გვეყოლება.

აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ ჩვენთან იხვის ხორცის წარმოებისათვის წელიწადის ყოველ დროს საუკეთესო პირობებია. მთავარი ის არის, რომ იხვის ხორცი სამეწველო საფუძვლებზე დაწარმოოთ. ამისათვის უკვე გამოვყავით შენობები. ფაბრიკა წლის განმავლობაში 12 ბუღობს გამოზრდის ე. ი. წელიწადში 1,2 მილიონ ფრთა იხვს. ფაბრიკის შენობებს თითქმის არ სჭირდება რეკონსტრუქცია, გარდა ინკუბატორის გაფართოებისა და სხვა მცირე სამუშაოებისა.

ფაბრიკის ახლოს არის თავისუფალი ტერიტორია, სადაც შეიძლება მოიწყოს იხვების გამოსაკვები სმი მოედანი თვითეული 80-100 ათასი ფრთისათვის, მოსაშენებლად უკვე შემოვიყენეთ იხვების ერთი ჯგუფი. იხვები კარგად შეეგუენ ადგილობრივ პირობებს.

იხვების ყველაფერმოვლისათვის რაიონში სხვადასხვა ადგილზე საჭიროა მოეწყოს სადედე იხვების სამი ჯგუფი, თვითეული 8-10 ათასი ფრთისათვის. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ეპიდემიის გაჩენის შემთხვევაში დაავადება არ გავრცელდეს.

მეიხვეობის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანით შეიძლება ყოველწლიურად გამოზარდოთ 1-1,2 მილიონი იხვი (თვითეული 2-2,2 კილოგრამი წონისა), ანუ რომ, წელიწადში 2-2,4 ათას ტონა ხორცს ვაწარმოებთ. ცენტნერმა იხვის ხორცმა (ცოცხალი წონით) ჩვენი ფასებით 174 მანეთი უნდა მოგვცეს, ე. ი. წელიწადში — 3,5 მილიონი მანეთი.

ჩვენი აზრით, სამტრედიის ხორაკომბინატში საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აუცილებელია მოაწყოს იხვების გადასამუშავებელი ხაზი.

გარდა ამისა, 1,2 მილიონი იხვის გამოსაკვებად საჭირო იქნება 8,5 ათასი ტონა მშრალი კონცენტრული საკვები. რა თქმა უნდა მემცენარეობის ანარჩენებისა და წყალმცენარეების გამოყენებით ჩვენთან ეს ციფრი ალბათ, შემცირდება.

იმისათვის, რომ სამტრედიის საკოლმეურნეობათშორისო მეიხვეობის ფაბრიკა რაც შეიძლება მალე ჩაგვეს მწყობრში, საჭიროა „საქფრინველმრეწვის“, შესაბამისი საპროექტო ინსტიტუტის, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობისა და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების ერთობლივი კომპლექსური დახმარება.

რედაქციისაგან:

პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. შ. ცაგარეიშვილთან საუბრიდან ჩანს, რომ სამტრედიის რაიონში მეტად საჭირო, სასარგებლო, ფრიად საინტერესო და დროული თაოსნობა წამოიწყეს — შეუდგნენ მეიხვეობის — მეფრინველეობის ამ უხვშემოსავლიანი დარგის განვითარებას მარტივი, მისაწვდომი და ამავე დროს საკმაოდ ეფექტიანი სისტემით.

ეტყობა ის პრობლემები, რომლებიც ამჟამად დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლის საქმეში, ამ რაიონის კომუნისტებმა, აქტივმა გულთან ახლოს მიიტანეს, ღრმა ანალიზი გაუკეთეს არსებულ მდგომარეობას და გამოძებნეს რეზერვები.

სამტრედიელთა ეს კარგი თაოსნობა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

მხარდაჭერით აღფრთოვანებულმა სამტრედიელმა კომუნისტებმა, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა დიდი ენთუზიაზმით გააჩაღეს შრომა, რათა სიტყვა საქმედ აქციონ.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ, სამწუხაროდ, ახალ საქმეს, თაოსნობას, გაბედულ აზრსა და მოქმედებას მხარდაჭერის ნაცვლად ზოგიერთი მუშაკი უხულგულოდ, ბიუროკრატიულად ხვდება.

ეს არც სამტრედიელთა ამ წამოწყებას ასცდა. რომ არაფერი ვთქვათ თვით რაიონში ზოგიერთთა სკეპტიკურ განწყობაზე, თვით „საქფრინველმრეწვშიც“ (დირექტორი ნ. ჯინჭარაძე) ჯერ-ჯერობით არ იგრძნობა ამ საქმით განსაკუთრებული დაინტერესება.

რა დასამალია, ზოგიერთნი თვალს ხუჭავენ ყოველი სიახლის წინაშე, შიშობენ — ჯერ სხვაგან არავის უცდია, არავის გაუკეთებია და ვაი თუ ჩვენც არა გამოგვივიდეს რაო... თუ ასე ვიმსჯელეთ, ასე შეგვაშინა გაბედულმა აზრმა, სიახლემ, თაოსნობამ და მთელი გულით არ მივეკიდეთ მის განხორციელებას, ბუნებრივია, მართლაც არაფერი გამოგვივა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამტრედიის რაიონის კომუნისტები, მთელი აქტივი, რომლებმაც ეს ინიციატივა წამოიწყეს, მას ბოლომდე მიიყვანენ, ყველა პირობას შექმნიან ამისათვის, რომ მეიხვეობა ნამდვილად მომგებიანი, უხვშემოსავლიანი გახდეს და ჩადგეს მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების სამსახურში.

**ეს ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა, ეს ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი, ეს ერთ-ერთი ასეთი ბრძოლა ეფექტიანობისა

მეეზოურიალს გაფრთხილება უნდა

მალე ჩვენი ხალხი „დედა-ენის გამოსვლიდან შვასე წლისთავს იზეიმებს. ამ საიუბილეო დღეებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „დედა-ენის“ შემდგენელის, გამოჩენილი პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიულ-მემორიალური ძეგლები. ყველას აინტერესებს ნახოს, ის სოფელი, ის სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ი. გოგებაშვილმა, სადაც თავდაპირველად ეზიარა იგი ქართულ ხალხურ შემოქმედებას, რომლითაც ესოდენ მდიდარია გოგებაშვილისეული „დედა-ენა“, ნახონ, როგორ გაშალა მხრები, გაიზარდა, გაფოთლიერდა და რესპუბლიკაში ერთ-ერთ მოწინავე სოფლად იქცა გოგებაშვილის დროინდელი პატარა და ღარიბი, ქარიანი და ჭაობიანი ვარიანი.

ამ დღეებში ხშირად მიპკრიან ხსუბუქი მანქანები და ავტობუსები სოფელ ვარიანისაკენ, უკან რჩება შემოდგომის ნაზი ფერებით მოღებული ლიახვის ჭალა, და ალვების ხეივანი, სოფლის შესავალში კარიბჭესავით რომ აღმართულა.

„ჩემს სოფელს ვარიანი ქვიან, — წერდა იაკობ გოგებაშვილი, — მე ეს სოფელი ძალიან მიყვარს, მიყვარს იმის გამო, რომ იქ დავიბადე, იქ ვიხილე სინათლე მზისა, იქ გავატარე ბედნიერი დღეები ჩემი ბავშვობისა. იქ ჩემ ყურებს ისამოვნებდა წყლების ჩხრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი, იქ მწვანე ტყე-ველს აღტაცებაში მივყავდი. იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი და მოთხრობა, იქ შევითვისე და შევიყვარე მშობლიური ხალხი“.

ახლა იმ სახლში, სადაც ი. გოგებაშვილი დაიბადა, სახლ-მუზეუმია განსული. ეზო პატარაა, მაგრამ ლამაზი და მოხდენილი, ეზოს მთელი მშვენება ის წყაროებია, რომელთა ჩხრიალს ისე სიამოვნებით იხსენიებს ჩვენი „დედა-ენის“ შემდგენელი. ვარიანის წყაროები, ბულბულები და ვარიანის „ფშანის“ ყვითელი ყალმახები საერთოდ არის ცნობილი. მათ ვახუშტი ბატონიშვილიც მოიხსენიებს „საქართველოს გეოგრაფიაში“. მაგრამ სულ სხვაა, როცა შენი თვალით ნახავ, მოისმენ, ხელით შეეხები. ძნელია ისე გაშორდე გოგებაანთ კარიმიდამოს, რომ გულს ერთი ნაწილი ამ წყაროებთან არ დაგრჩეს. სიდიან არ მორაკრაკებენ, თითქოს შენ თვალწინ იბადებიან, — ხიდის თავთან, ხიდის ქვეშ, სახლის ბლურბლთან, მეზობლის ყორესთან, ძველი ეკლესიის ქვეშიდანაც კი მოსჩქეფენ პატარა ნაკადულად. ეკლესიამ მეორე საოცრებითაც გაგვაკვირვა. დახავსებულ სახურავზე კაკვად მოზრდილი, ალუბლის და თუთის ხეებია ამოსული, ისინი ზვიდან გამოსცქერიან წყაროებს.

მოდიან და მოიმღერიან გოგებაშვილის წყაროები, ჰაერში სოცაცარი ბგერები ირხევა. სანახობა მომხიბვლელია, თვალწარმტაცი, მთგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია, განსაკუთრებით ბაფხულში, როცა მთელ ქართლს პაპანაქება სიცხისაგან ალმურა ასდის, სახლ-მუზეუმის ეზოში კი საამოდ გრილა. გარემოც გოგებაშვილისეული, წყაროებს ბავშვები ეხვევიან, მტრედები და ჩიტები წყალში დატოპავენ, ნისკარტს ისველებენ, ფრთებს ისურორებენ.

მოდიხარ და თან მოგყვება მათი დინების სოიცარი ხმები. მაგრამ ვისაც ადრე, ხუთიოდე წლის წინათ უნახავს ეს გარემო, არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს, რომ წყაროების ანსამბლს აკლია „იაკობის წყარო“ (ეს სახელი მას ხალხმა შეარქვა). სწორედ ეს წყარო იყო, რომლის ახლოს პატარა იაკობმა ბავშვობის წლები გაატარა. ამ წყაროსთან ისმენდა იგი ხალხურ ლექსებს, ანდაზებს, გამოცანებს, ზღაპრებს, ამ წყაროსთან მღეროდა ტოლებთან ერთად, „ბიჭო ვისი ხარ მალხაზი, დაურეი დედამენსაო“. ამ წყაროთი მთელი სოფელი სარგებლობდა. აი, რასა წერს მწერალი „ნაკადი. დევდარიანი თავის წიგნში „სიცოცხლე და უკვდავება“: „გოგებაანთ წყაროზე სოფლის დედაკაცები კოკებს ავსებდნენ, ერთმანეთს ახალ ამბებს უზიარებდნენ. მთელი დღის ნაჯაფ სხეულს წუთით ასვენებდნენ. ყოველი ახალი პატარძალი გოგებაანთ წყაროდან იწყებდა სოფლის გაცნობას“.

საკვირველია, ვის მოაფიქრდა, ან რაში დასჭირდა, აღეგავა პირისაგან მიწისა „იაკობის წყარო“, გოგებაშვილის ბავშვობის წლების ეს შესანიშნავი მემორიალი. ნანარჩენი წყაროები ხომ სახლ-მუზეუმის დაარსების შემდეგ არის მილებში გამოყვანილი. იაკობ გოგებაშვილს თვალითაც არ უნახავს ისინი). ახლა იმ ადგილას, სადაც „იაკობის წყარო“ მორაკრაკებდა, მიწაში მაგრად ჩაქედილი ქვის მაგიდა და სკამებია. ნუთუ არ შეიძლებოდა ეს მაგიდა და სკამები სხვაგან დაედგათ, ეზოში ამისათვის საკმაო ადგილია. საერთოდ სახლ-მუზეუმების რეკონსტრუქციისა და „რემონტის“ დროს ხშირად სცოდავენ. უყვართ მწერლის სახლისა და ეზო-ბაღმიდამოს გათანამედროვება. მიაყენებენ ბეღლებს, გადათხრიან იქაურობას, ჩაყრიან რკინაბეტონს, ცემენტს, ქვის ლოდებს, მარმარილოს, აკეთებენ პარკეტიან იატაკებს, აივნებს, შუშაბანდებსა და უკარგავენ მწერლის დროინდელ სახეს. იქ, სადაც მწერლის სული, მწერლის იდუმალი სამყარო სუფევდა, ქვითა და ცემენტით ამოვსებენ ხოლმე, შესაძლებელი რომ იყოს მწერლის ერთი წუთით გაცოცხლება, ალბათ ვეღარც იცნობს თავის სახლ-კარს.

უამრავი თანხები იხარჯება და რისთვის?

სხვიტორში აკაკი წერეთლის მეასე წლისთავზე დიდი „რემონტი“ ჩაატარეს. სახლის გვერდით მოკრეს ის ტყემალი, სადაც პოეტს უყვარდა, გვიან ღამემდე სასურველ სტუმრებთან ერთად დასვენება და საუბარი. აქედან ხშირად უსმენდა იგი ბულბულების გალობას, ტკბებოდა ვარსკვლავებით მოქედილი ცის სიღამაზით, უსმენდა მთვარიან ღამის იდუმალებას.

ვთქვათ, ტყემალი ხმებოდა და იმიტომ მოკრეს, ხომ შეიძლებოდა, ისეთივე ჯიშის ტყემლის ხის ისევ ადგილას დარგვა. ესეც არ იქმარეს, აკრეს ვენახი სახლის წინ, ფერდობზე მთლიანად წარხოცეს, ის მათრახივით მოქნეული ბილიკი ვენახს რომ შუაზე ყოფდა (როგორ უხდებოდა იქაურობას ის ვენახი და ის ბილიკი). მის ნაცვლად აღმართეს ვეებერთელა, ფართო საფეხურებიანი კიბე. ერთ დროს როსტომისეულ სასახლეზე წოდებული შენობა, ცალმბრჯენილ კიბის ფონზე პატარა ხუხულასავით მოჩანს. ასე დაუკარგეს თავისი დროის სახე აკაკი წერეთლის კარმიდამოს.

„ენერგიული რემონტების“ შედეგად, ასევე დაკარგა თავისი პირვანდელი სახე ვაჟა-ფშაველას კარმიდამომ. რაზიკაშვილების ძველი სახლიდან ის პატარა ოთახიღა დარჩენილი, სადაც ვაჟა გვიან ღამემდე იჯდა და წერდა. (ახლა მგონი იმასაც დანგრევას უპირებენ. კედელიაო გაბზარული, დაკანგრევთ და იმავე მასალით ახლად ავაგებთო, ხომ შეიძლება კედლის გამაგრება და არა დანგრევა. აი, სად არის საჭირო ბეტონი და ცემენტი. (ვაჟას / ოთახზე ორსართულიანი შენობაა მიშენებული. სახლის გვერდით პატარა ბორა აღუმართავთ. (ვაჟას მთები უყვარდათ). ძველი ჭიშკარი, საიდანაც ეზოში შედიოდნენ რაზიკაშვილები, გაუუქმებიათ და საფლავ ქვევით, სულ სხვა მხარეს გადაუტანიათ, ის პატარა წყარო, სახლთან ახლოს, ეზოს გარეთ რომ მორაკრაკებდა, საფლავ გადაკარგულა. იმ ადგილს მარტო თეთრი ქვებიღა აწყვია. ეს ის წყაროა, საიდანაც მგოსანი ყოველ ცისმარია ჩამეხლული სვამდა წყალს და ერთხელ ასეც იხეტმრა თოვმე, ვერავინ ქედი ვერ მომადრეკინა, ვერავინ მუხლი ვერ მომაყრევინა, ამ წყაროს მტმაო. განა სასურველი არ არის აღდგეს ეს წყარო და ექსპოზიციაში მეეიდეს.

ბ ურამიშვილის წყაროს სათავე მთელი ზაფხული ეძებეს კასპის რაიონის ხელმძღვანელობამ და მწერალთა კავშირმა. იპოვეს და აღადგინეს გურამიშვილის ეს ერთადერთი მემორიალი. ვაჟას წყაროო კი ირსად, შორს არაა წასული, ალბათ სათავე იქვე აქვს მდინარესთან სახლს რომ გვერდით ჩამოუდგა. „რემონტების“ მოყვარულებს არც ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი დაუჭერეთ, ის მყუდრო აივანი, საიდანაც ილია ჭავჭავაძე არაგვის ხეობას გადასცქეროდა. საიდანაც დიდი რუსი პოეტი ნ. ტიხონოვი აღტაცებით შეჰყურებდა ცისარტყელას და იქვე დაწერა ბრწყინვალე ლექსი „ცისარტყელა საგურამოში“, გაუფართოვებიათ, წინ წაწეულიათ. აუყრიათ იატაკი და იმ გრძელ და ფართო ფიცრების ნაცვლად, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო იმ საუკუნისათვის, სახლში პარკეტის იატაკები დაუგიათ. ი. ჭავჭავაძეს არც გემოვნება აკლდა და არც მატერიალური შესაძლებლობა, პარკეტი მის დროსაც იშოვებოდა, თუ სურვილი ექნებოდა, როგორმე დაგებინებდა და აივანსაც უფრო ფართოს დაიჭერდა. მემორიალური ძეგლის ოდნავ შეცვლა ქნინ ახალ-ახალ თქმულებებს, სხვადასხვა მოსაზრებებს, — მწერლის დროს ასე არ ყოფილაო, მერე გადაუკეთებიათო. რა საჭიროა, ასეთი „გამოცანების“ შექმნა, როცა არის შესაძლებლობა მემორიალს შეუნარჩუნოთ თავდაპირველი სახე, როგორც ეს მწერლის სიცოცხლეში იყო და ისე გადაეცეს შთამომავლობას. მოსკოვში ლევ ტოლსტოის სახლ-მუზეუმში რომ შედიხართ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მეოცე საუკუნიდან უცებად მოხვედით შეცხრამეტე საუკუნეში, იქ ყველაფერი ძველებურად, ტოლსტოისებურად არის. ასე გგონია, საცაა კარები გაიღება და თვით ლევ ტოლსტოი შემოვაო.

ანბანური კეშმარიტებაა, რომ რემონტების და რეკონსტრუქციების დროს, მწერლის კარმიდამოს, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ მემორიალურ ძეგლებს გაფრთხილება და დაცვა სჭირდება. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა გულსხმიერებას და მზრუნველობას იჩენდა ვ. ი. ლენინი კულტურის ძეგლებისადმი. სახალხო კომისართა საბჭოს პირველი სამეცნიერო მმართველი ბონჩ-ბრუევიჩი თავის მოგონებაში ვ. ი. ლენინზე წერს, რომ ლენინმა „თვითონ გაუკეთა რედაქცია დეკრეტს ისაზღვა პოლიანას ნაკრძალად გამოცხადების შესახებ, ინახულა ტოლსტოის სახლი მოსკოვში და დათვალიერა მისი კარმიდამო, — „უკეთუ ბაღში რომელიმე მცენარე, ან ბუჩქი გახმება, — იძოდოდა რჩევა-დარიგებას ვლადიმერ ილიჩი, — იმავე ადგილზე უნდა დაეგოთ მეორე, იმავე ჯიშისა, და თუ ეს შესაძლებელი იქნება, თუნდაც დაახლოებით, იმავე ზომისა და სახლშიაც ყველაფერი დაეტოვოთ და შეეხეთხოთ ძველებურად, ისე როგორც იგი მწერლის სიცოცხლეში იყო“.

ასეთია ლენინური დამოკიდებულება კულტურის ისტორიულ მემორიალური ძეგლებისადმი.

ვ. ი. ლენინის ეს მითითება, ყველა დიდი მწერლის სახლ-მუზეუმისა და კარმიდამოს შეკეთებისა და რეკონსტრუქციების დროს უნდა იყოს გაითვალისწინებული.

მარგო თომაძე.

11 ნოემბერი

ქსოფვიოს ალბომი

ფაქტები, პრობლემები

საკავშირო ბიბლიოთეკა

საკავშირო კორესპონდენტები და უცხოეთის პრესის საკაგენტოები იუწყებიან

პორტუგალიის კომპარტიის VIII ყრილობა

პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 10 ნოემბერს მოსკოვიდან ლისაბონში პორტუგალიის კომპარტიის VIII ყრილობაზე გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელშიც შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი** (დელეგაციის ხელმძღვანელი), სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **მ. გ. გაპუროვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე **ვ. ვ. ზაგლადინი**.

ვიუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ი. ვ. კაპიტონოვმა**, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილემ **ა. ს. ჩერნიაევმა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილეებმა **კ. ნ. ბრუტენცმა** და **ვ. ს. შაპოშნიკოვმა**.

* * *

ამავე დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი**, ლისაბონში ჩავიდა.

ლისაბონის აეროპორტში სკკპ დელეგაციას დახვდნენ პორტუგალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ალვარო კუნიალი, პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრი სერჟიუ ვილარიგუში, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პორტუგალიის რესპუბლიკაში ა. ი. კალინინი. (საკდესი).

ა. სადათის პოზიცია

კაირო. (საკდესი). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. სადათმა აქ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრები და მათთან საუბარში განაცხადა, რომ ეგვიპტის მხარე არავითარ დაბრკოლებას არ უქმნის მშვიდობის დამყარებას ახლო აღმოსავლეთში. მან თქვა, რომ საჭიროა ისრაელის ჯარებმა დატოვონ 1967 წელს ოკუპირებული არაბული ტერიტორიები და გაიმართოს ჟენევის საზავო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე, რათა ოფიციალურად შეწყდეს ომის მდგომარეობა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის.

სადათმა აგრეთვე თქვა, რომ იგი დათანხმდება ყოველგვარ გარანტიას, რომლებსაც კი შესთავაზებს ამერიკის შეერთებული შტატები ისრაელს, ოღონდ იგი „დაამშვიდოს“, და იმის წინაღმდეგიც კი არ იქნება, თუ ამერიკა-ისრაელის ერთობლივი თავდაცვის პაქტი დაიდო.

მაგრამ, ხაზი გაუსვა მან, ჩვენც გვეჭიდება გარანტია. „ეზაგვარ, — თქვა პრეზიდენტმა, — რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები ან სხვა რომელიმე ჯარი, რომლებზეც შეთანხმება იქნება მიღწეული, განლაგდნენ ეგვიპტე-ისრაელის საზღვარზე და შარმ-აშ-შეიხში“.

ილევ „კუდიანებზე“ ნადირობა

ვაშინგტონი. (საკდესი). ამერიკის ხელისუფლებს განზრახული აქვთ გააქტიურონ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის დევნის კამპანია.

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, იუსტიციის მინისტრმა ე. ლევმ მითითება მისცა გამოძიების ფედერალურ ბიუროს, განაგრძოს მასობრივი თვალთვალი ამერიკელი კომუნისტებისა და კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობისადმი. როგორც პრესა აღნიშნავს, ეს განკარგულება ეწინააღმდეგება შეერთებული შტატების კონსტიტუციას.

აქ მიაჩნიათ, რომ ანტიკომუნისტური ისტერიის გაღვივებაა გამოწვეულია ხელისუფალთა შეშფოთებით კომპარტიის გავლენის ზრდის გამო. ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში, რომელსაც ქვეყანა განიცდის, კომუნისტების მიერ წამოყენებული უმწვავესი სოციალურ-ეკონომიური პრობლემების გადაჭრის პროგრამა სულ უფრო მეტ მომხრეებს იძენს.

აქლიერებენ რეპრესიებს

მეხიკო, (საკდესი). ურუგვაიში გრძელდება რეპრესიები ქვეყნის პატრიოტული და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, როგორც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები მონტევიდეოდან იუწყებიან, ამას წინათ კანონლონესის დეპარტამენტში დაპატიმრეს ადამიანთა დიდი ჯგუფი, აგრეთვე თოთხმეტი მუშა მეშინეთა პროფესიული გაერთიანებიდან.

გადაჭრით გმოობენ რასისტულ რეჟიმს



ნიუ-იორკი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომებზე მიღებულ რეზოლუციაში აისახა, რომ საერთაშორისო გაერთიანება გადაჭრით გმობს აპარტეიდის — რასისტული დისკრიმინაციის პოლიტიკას, რომელსაც პრეტორიის მთავრობა ახორციელებს, და დასავლეთის სახელმწიფოთა საშიშ მანევრებს, რომლებიც ცდილობენ სამუდამოდ დაამკვიდრონ სამხრეთ აფრიკაში კოლონიურ-რასისტული წყობილება. ეს რეზოლუციები შეიტანა განვითარებადი სახელმწიფოებისა და სოციალისტური ქვეყნების დიდმა ჯგუფმა.

„გენერალური ასამბლეა აცხადებს, რომ სამხრეთ აფრიკის რეჟიმი უკანონოა და სამხრეთ აფრიკის ხალხს წარმომადგენლობის უფლება არა აქვს. იგი კვლავ ადასტურებს, რომ კანონიერი ჩაგრული სამხრეთაფრიკელი ხალხისა და მისი განმათავისუფლებელი მოძრაობების ბრძოლა ყველა შესაძლო საშუალებებით ხალხისთვის ძალაუფლების გადასაცემად და მისი თვითგამორკვევის განუყოფელი უფლების განსახორციელებლად“, — ხაზგასმულია სამხრეთ აფრიკის მდგომარეობის შესახებ მთავარ რეზოლუციაში.

პრეტორიის რასისტული რეჟიმი, რომელიც არად აგდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებს აპარტეიდის შესახებ, მიმართავს დანაშაულ რეპრესიებს, მათ შორის მასობრივ მკვლელობებს, აღნიშნულია დოკუმენტში. ამიტომ, „სამხრეთ აფრიკის ჩაგრული ხალხი იძულებულია მიმართოს შეიარაღებულ ბრძოლას თავისი კანონიერი უფლებების მისაღწევად, რადგან სხვა გამოსავალი აღარ დარჩენია“.

გენერალურმა ასამბლეამ აღნიშნა, რომ აპარტეიდის პოლიტიკა და პრაქტიკა დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ და ყველა სახელმწიფოს მოუწოდა ყოველნაირად დაეხმარონ სამხრეთ აფრიკის ჩაგრულ ხალხსა და მის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს აპარტეიდის სრული ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში. მან გადაჭრით დაგმო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმი იმის გამო, რომ მოსახლეობის სისხლს ღვრის და აგრესიის აქტებს მიმართავს მეზობელი დამოუკიდებელი აფრიკული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

მეორე რეზოლუციაში, რომელიც სამხრეთ აფრიკისათვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს ეხება, გენერალურმა ასამბლეამ აღნიშნა, რომ ფორსტერის რეჟიმი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, ესპანეთიდან და დასავლეთის ბლოკის სხვა ქვეყნებიდან მიღებულ იარაღს ფართოდ იყენებს კონტინენტის სამხრეთში რეპრესიებისა და აფრიკულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ აგრესიისათვის. გენერალურმა ასამბლეამ 16 ივნისი სამხრეთ აფრიკის მებრძოლ ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ამ დღეს სამხრეთ აფრიკის პოლიციამ და პრეტორიის ჯარებმა სოუეტოში დახოცეს და დაარბიეს მშვიდობიანი აფრიკელი მოსახლეობა.

გენერალურმა ასამბლეამ განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმთან ყოველგვარი თანამშრომლობა „სამხრეთ აფრიკის ჩაგრული ხალხის მიმართ მტრული აქტია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და საერთაშორისო საზოგადოებრიობის აბუჩად აგდებაა“.

ასამბლეამ საგანგებო რეზოლუციით გადაჭრით დაგმო ცსრაელი იმის გამო, რომ განაგრძობს და აფართოებს თანამშრომლობას პრეტორიასთან. რეზოლუციის პროექტებს, რომლებიც გულისწყრომით ამხილებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალთა აპარტეიდის პოლიტიკას და მათ წამქეზებელ იმპერიალისტურ წრეებს, კენჭისყრის დროს მხარი დაუჭერა ქვეყნების უმრავლესობამ. წინააღმდეგ ხმა მისცა ან თავი შეიკავა მხოლოდ დასავლეთის რამდენიმე ქვეყანამ ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რომლებიც ამხილეს, რომ ხელს უწყობენ რასისტებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 16 ივნისი სამხრეთ აფრიკის მებრძოლ ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ამ დღეს სამხრეთ აფრიკის პოლიციამ და პრეტორიის ჯარებმა სოუეტოში დახოცეს და დაარბიეს მშვიდობიანი აფრიკელი მოსახლეობა.

მეგობრულ ვითარებაში

ნ. ჩაუშესკუმ მიიღო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი

ბუქარესტი, 11 ნოემბერი. (საკდესი). რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ჩაუშესკუმ მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გენერალური დირექტორი ო. სულაძე, იგი აქ მოიწვია ნ. ჩაუშესკუმ, რომელიც 1976 წლის აგვისტოში სსრ კავშირში ვიზიტის დროს იყო რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

საუბარს დაესწრო რუმინეთის კომპარტიის პოლიტიკური აღმასკომის წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ანდრეი.

საუბრის დროს ო. სულაძემ დიდი მადლობა გადაიხადა მასპინძლობისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ მიეცა შესაძლებლობა გასცნობოდა რუმინელ მშრომელთა და განსაკუთრებით მეტალურგთა წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში. საუბრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ფარგლებში რუმინეთისა და საქართველოს საწარმოთა თანამშრომლობის განვითარება ხელს უწყობს ორი ძმაუნისა და ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს.

ნ. ჩაუშესკუმ სალამი შემოუთვალა საქართველოს ხელმძღვანელებს, წარმატებანი, ჯანმრთელობა და ბედნიერება უსურვა რუსთავის ქარხნის კოლექტივს.

შეხვედრამ გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

თვითმარქვია კონტროლიორები

პრაღა, (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა ეგრეთ წოდებული „კონგრესის სპეციალური კომისია“, რომელიც თვალყურს ადევნებს, თუ როგორ ასრულებენ სახელმწიფოები ჰელსინკის თანბირის გადაწყვეტილებებს. ამერიკის ასეთი კომისიის შექმნა, წერს „რუდე პრავო“, უხმაოდ ირღვევს ჰელსინკის შეთანხმების ფორმასა და შინაარსს, ამით ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს ჩაიროს სუვერენულ სახელმწიფოთა საქმეებში.

თვითმარქვია კონტროლიორები, წერს გაზეთი, „ეურიეუზულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მიითვისეს როლი, რომლის გამართლება არაფრით არ შეიძლება. ამა წარმოვიდგინოთ, განაგრძობს „რუდე პრავო“, რა გუნებაზე დადგებოდა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიმე სხვა ქვეყნის პარლამენტს რომ შეექმნა, მაგალითად, იმ პირობების გამომრეკვევი კომისია, რომლებშიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგები, პუერტორიკოელები, მექსიკელები ცხოვრობენ, ან იმისადმი მეთვალყურეობის კომისია, თუ როგორ არღვევს ამერიკის შეერთებული შტატები ამერიკელ ინდიელთა უფლებებს.

ჰელსინკის შემდგომ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების ეს ახალი ცდა, რომ ჩაერიოს ევროპის ქვეყნების საშინაო საქმეებში, ცალკეული ფაქტი როდია. გავიხსენოთ, წერს გაზეთი, თუ რომგორ აღაშფოთა მეეი მსოფლიო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის განცხადებამ და ამერიკელ პოლიტიკოსთა მოუქარამ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, თუ მათ მთავრობაში კომუნისტები შეეიდოდნენ.

პროგრესის გზაზე

საყოველთაო პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში აღნიშნა ანგოლელმა ხალხმა თავისი დიდი დღესასწაული — ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი წლისთავი, რომელიც 11 ნოემბერს შესრულდა.

მძიმე განსაცდელი გადაიტანა რესპუბლიკამ არსებობის პირველ წელს. საერთაშორისო იმპერიალიზმს პროგრესული ანგოლის შექმნა მიაჩნია აფრიკაში თავისი ექსპანსიონისტური ინტერესების სერიოზულ საფრთხედ, საშიშ მაგალითად კონტინენტის სამხრეთის სხვა ხალხებისათვის, რომლებსაც სურთ თავი დააღწიონ რასისტულ-კოლონიურ ჩაგვრას და ამიტომ ფართო შეიარაღებულ აგრესიას მიმართა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. რეაქციულ დაჯგუფებებს, რომლებსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები ხელმძღვანელობდნენ, დასახმარებლად გაუგზავნეს დაქირავებული რაზმები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან და დასავლეთის სხვა ქვეყნებიდან. რესპუბლიკის წინააღმდეგ მოუწყო სახრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტთა ამკარა სამხედრო ინტერვენცია.

მაგრამ მალას გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულმა ანგოლელ ხალხმა საკადრისი პასუხი გასცა რეაქციის გაერთიანებულ ძალების გამოხდომებს.

„ანგოლის გაბარჯგება თქვენი ხალხის, თქვენი რევოლუციური ავანგარდის შეუპოვრობისა და მამაცობის შედეგია, — განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, როცა სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თავმჯდომარის, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. ა. ნეტოს მეთაურობით. ამასთანავე ეს არის ინტერნაციონალიზმის, პროგრესის ძალების საერთაშორისო სოლიდარობის გამარჯვება“.

გაერთების ყმას ანგოლელი ხალხი ეყრდნობოდა სსრ კავშირის, კუბისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების, მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების ყოველმხრივ ძმურ დახმარებასა და მხარდაჭერას. იმპერიალიზმისა და შინაგანი რეაქციის განუწყვეტელი ძირგამომთხრელი მოქმედების რთულ პირობებში დღეს ანგოლელი ხალხი ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის ხელმძღვანელობით წყვეტს ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის ამოცანას. ქვეყანაში დაიწყო ხელისუფლების სახალხო ორგანოების შექმნა, ნაციონალიზებულია მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები. ძირეული გარდაქმნები ხორციელდება სოფლის მეურნეობის დარგში.

ახალი ანგოლის აშენების გზაზე მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც აქ ამ დღეებში დამთავრდა.

მხოლოდ განვითარების სოციალისტური გზა გვაძლევს საშუალებას მთლიანად მოვსპოთ ერთი ადამიანის მიერ მეორეს ექსპლოატაცია, აღნიშნულია პლენუმის გადაწყვეტილებებში. პლენუმმა აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის ავანგარდული პარტიის შექმნასა და მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებას. მან შეიმუშავა მოქმედების კონკრეტული პროგრამა.

დღითიდღე მტკიცდება ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან, კუბასთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან.

ანგოლა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მტკიცე ბაზაა დოკუმენტები, რომლებსაც მოსკოვში ხელი მოაწერეს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ამასწინანდელი ვიზიტის დროს.

„გამოთქვამთ რწმენას, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მისამართებაში, — რომ ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების სოლიდარობა, რომელსაც საფუძვლად უდევს საერთო მიზნები მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში, კვლავაც ნაყოფიერად განვითარდება“.

□

ანგოლელი ხალხი თავდადებით შრომობს ომის შედეგად მოშლილი სახალხო მეურნეობის აღსადგენად. ფაბრიკა-ქარხნებში იქმნება მუშათა კომისიები, რომლებიც კონტროლს უწევენ პროდუქციის გამოშვებას. სურათებზე: (ზემოთ) — აუგუსტო მარტიში, ლუანდის ერთ-ერთი ქარხნის მუშა, რომელიც თავისი საწარმოს მუშათა კომისიის წევრია; (ქვემოთ) ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი ლუანდა. ხედი სანაპიროდან.

საკდესის ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

□

საბჭოთა კავშირის დღეები ისლანდიაში

● **რეიკიავიკი.** ისლანდიაში დამთავრდა საბჭოთა კავშირის დღეები. იგი მოეწყო „ისლანდია-სსრ კავშირის „საზოგადოების ინიციატივით. ამ დღეების ცენტრალური მოვლენა იყო ისლანდიის დედაქალაქის საზოგადოებრიობის 7 ნოემბრის საზეიმო კრება, რომელიც დიდი ოქტომბრ

სპარეჯრის რაიონის მაწაკის საბჭოთა მეურნეობაში საღლესასწაულოდ გაიხსნა ახალი ადმინისტრაციული შენობა, რომელშიც მოეწყო აგრეთვე საქორწინო დარბაზიც. აქ პირველებმა იქორწინეს მეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტმა თეიმურაზ ზაქაიძემ და ლამარა ლომაშვილმა (სურათზე — მარცხნივ), აქაურმა მცხოვრებმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტმა ალექსანდრე კუზანაშვილმა და უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა მარინე საბაშვილმა.

ადმინისტრაციული შენობის გახსნას დაესწრნენ პარტიის რაიკომის, აღმასკომის, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მანაველი მშრომელები.

გ. ბოგიხიას ფოტო.



ვ. ქარსელაძის მემორიალი

ვინ ლიდეროობს?!

აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ 4 ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერი არ ჰყოლოდეს. რითი უნდა აიხსნას ეს უცნაური მოვლენა? ერთი მხრივ, ეტაობა, იმით, რომ ტურნირში წამყვანი მონაწილეების ძალთა გარკვეული თანაფარდობაა, მეორე მხრივ კი გადადებული პარტიების დიდი რაოდენობა ბეჭდოვანს ხდის მდგომარეობას სატურნირო ცხრილში.

მეოთხე ტურში პირველი პარტია წააგო გიორგაძემ. მის მეტოქეს ლერნერს, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინ პირველი ადგილი დაიკავა თბილისის საჭადრაკო ფესტივალში, შეუა თამაშში ორი ზედმეტი ხარისხი დარჩა. შემდეგში ოდესელმა მეტოქეს უკანვე დაუბრუნა ერთი ხარისხი და თამაში იოლად მოსაგებ დაბოლოებაში გადაიყვანა. ძნელი პრობლემის წინაშე დადგა გურგენიძე, რომლის მეტოქემ, თეორიებით მოთამაშე ანაკიევმა გამსვლელი პაიკი მეშვიდე ჰორიზონტალამდე მიიყვანა. გურგენიძე დაბებდა. უდავოდ ქების ღირსია ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი გედეონაშვილი, რომელმაც შეიგებით გააუქნებლა დიდოსტატ კუზმინის მეჭარა და საპატიო ყაიმს მიაღწია. იგივე ითქმის მიქაძეზე, რომელიც მთელი პარტიის მანძილზე ინარჩუნებდა წონასწორობას დიდოსტატ ხოლმოვთან და ეს შეხვედრაც ყაიმით დასრულდა. კიდევ ერთ საყაიმო პარტიაში (ზაიჩიკი-ჩიქოვანი) ზაიჩიკმა პაიკი დაკარგა, მაგრამ თამაში გადავიდა სხვადასხვა უჯრედოვან კუთა ენდშპილში. ხოლო ამგვარ ენდშპილებში ერთი კი არა, ზოგჯერ ორი პაიკიც არ იძლევა მოგებისათვის თამაშის შესაძლებლობას. მიხალიშინ-უბილავას პარტიას სიმძაფრე არ აკლდა, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გამარტივდა და საყაიმო შედეგი გარდაუვალი გახდა. დიდოსტატმა ლუტიკოვმა ისარგებლა სტორეას შეცდომით, მიაღწია დიდ მატერიალურ უპირატესობას (ლაზიერი ეტლში) და მოიგო. ჯანოევ-ბოკუჩავას შეხვედრაში შავებმა დებიუტიდანვე უარესი პოზიცია მიიღეს, ვერ მოასწრეს მეფის ევაკუაცია. ჯანოევმა დიდი ენერგიის დაუხარჯავად თავი მოუყარა ძალებს ცენტრში და დაიწყო იერიში. ბოკუჩავას დებებმა მოუხდა.

გუშინ მეხუთე ტურში ბოკუჩავამ მოიგო კუზმინს, გურგენიძემ — ჯანოევს, ანაკიევმა — ხოლმოვს, უბილავამ — ზაიჩიკს, ჩიქოვანმა — მიქაძეს. გიორგაძე და ლუტიკოვი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ბ. გამრეკელი.

სტარტზეა დიდი კალათბურთი

დღეს თბილისში გაიმართება 44-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი

უჩვეულო სისტემით ტარდება წელს კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. იგი თამაშის სამ ეტაპს ითვალისწინებს.

პირველი ეტაპი, რომელშიც გამოდის უმაღლესი ლიგის 13 გუნდი, ეწყობა ორ წრედ საკუთარ და მეტოქის მოედნებზე, მეორე ეტაპში ასეთივე სისტემით ცალ-ცალკე იასპარეზებენ პირველ ექვს ადგილზე გამოსული გუნდები და დანარჩენი შვიდეული. დასკვნითი მესამე ეტაპი კი ერთ წრედ მოეწყობა ორ ქალაქში, მათ შორის თბილისში. ამრიგად, თვითეული გუნდი გამართავს 39 ან 42 თამაშს (იმისდა მიხედვით, მოხვდება თუ არა იგი საუკეთესოთა ექვსეულში).

ტურნირში მონაწილეობენ აგრეთვე სათადარიგო შემადგენლობანი, რომლებიც იმავე დღეს ორი საათით ადრე ატარებენ კალენდარულ თამაშებს. დუბლ-შემადგენლობები არ გამოვლენ მხოლოდ მესამე, დასკვნითს ეტაპზე.

გარდა ამისა, კალენდარული მატჩების დროს, ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობების შეხვედრების შუალედში, საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებთან, როგორც წესი, უნდა გაიმართოს მატჩები მინი-კალათბურთში 8-10 წლის ასაკის ბიჭუნების მონაწილეობით. ერთი სიახლეც: ამიერიდან კალათბურთელებს მაისურზე აუცილებლად უნდა ეწეროთ საკუთარი გვარი.

აი ვინ მონაწილეობს 44-ე საკავშირო ჩემპიონატში: **ცსკა, ლენინგრადის „სპარტაკი“, მოსკოვის „დინამო“, კიევის „სტროიტელი“, კაუნასის „უალგირისი“, ვილნიუსის „სტატბა“, თბილისის „დინამო“, მინსკის რტი, რიგის სკა, ტარტუს „კალევი“, ნიკოლაევის „სპარტაკი“, სვერდლოვსკის „ურალმაში“ და ვლადივოსტოკის გუნდი.**

ამ გათამაშებაში ბოლო ადგილებზე გამოსული ორი გუნდი (ქალაქ ვლადიმერსტოკის გუნდის გარდა), დატოვებს უმაღლეს ლიგას.

საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას წელს მოემსახურება ექვსი ქართველი არბიტრი — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები რ. ხომერიკი და ვ. ჯაფარიძე, საკავშირო კატეგორიის მსაჯები გ. ავალიშვილი, მ. ქურიძე, ბ. ნიკურაძე და რ. გოგელია.

მაშ ასე, დღეს საღამოს თბილისის სპორტის სასახლეში არბიტრების ი. აპოლონოვისა (ლენინგრადი) და ი. არსლანოვის (ყაზანი) სასტვენის ხმაზე საასპარეზოდ გამოვა ჩვენი ქვეყნის ორი პოპულარული გუნდი — თბილისის „დინამო“ და კაუნასის „უალგირისი“. შეგახსენებთ, რომ **19 ნოემბერს** „დინამო“ უმასპინძლებს ნიკოლაევის „სპარტაკს“, ხოლო **25 ნოემბერს** — მინსკის რტი-ს.

გიზეკეთ დიდ კალათბურთზე, მეგობრებო!

ვ. ჯაფარიძე,
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.



სურათზე: მეტოქის ფარს უტევს დინამოელთა გუნდის ლიდერი მ. ქორქია.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ი. ზაალიშვილი

ქართულმა მედიცინამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ფიზიოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს პათოფიზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 1952 წლიდან სკკპ წევრი ირინე მიხეილის ასული ზაალიშვილი.

ი. ზაალიშვილი დაიბადა 1909 წელს ქ. გორში ცნობილი საზოგადო მოღვაწის და პედაგოგის მიხეილ ზაალიშვილის ოჯახში. 1931 წელს სწავლა დაიწყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. სტუდენტობის წლებში მან დიდი ინტერესი გამოიჩინა პათოფიზიოლოგიის ა დ მ ი და ადიარებულ მუშაობა აკადემიკოს ვ. ვ. ეორონინის ხელმძღვანელობით. აქედან მოყოლებული თითქმის 40 წლის მანძილზე დიდი შთაგონებითა და გატაცებით იკვლევდა დაავადებათა ზოგად კანონზომიერებებსა და მექანიზმებს, ერთგულად, ღრმა პედაგოგიური შეგნებით ზრდიდა სამედიცინო კადრებს, მტკიცე მოქალაქეობრივი რწმენით მოღვაწეობდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. მან პირველმა დაიწყო პათოფიზიოლოგიის ლექციების კითხვა მშობლიურ ენაზე.

ი. ზაალიშვილი საქართველოს პათოფიზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების შექმნის ინიციატორი და მისი უცვლელი თავმჯდომარე იყო დღიდან დაარსებისა. იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორი ორდენითა და მედლებით.

გამოჩენილი მეცნიერის, ღვაწლმოსილი პედაგოგის ი. ზაალიშვილის სახელი სამუდამოდ შევა ქართული მედიცინის ისტორიაში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; საქართველოს პათოფიზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება.

ფეხბურთი

პირველია „პირნი“

ბათუმში დამთავრდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჯინჭარაძის სახელობის პრიზზე, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა.

საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ჩვენი სტუმრების — ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადის „პირნის“ გამარჯვებით, რომელსაც გადაეცა მთავარი პრიზი. მეორე ადგილზე გამოვიდა ერევნის ფეხბურთელთა გუნდი, მესამეზე — ბათუმის „დინამო“.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გაიმარჯვების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა		12 ნოემბრისათვის				
		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
„ტორპედო“	14	9	2	3	20-8	20
„ცარპატი“	15	6	5	4	22-19	17
„ზენიტი“	15	6	4	5	22-16	16
„დინამო“ კ.	14	5	6	3	19-15	16
„დინამო“ მ.	14	7	2	5	14-10	16
ცსკა	15	5	5	5	21-16	15
„დინამო“ თბ.	14	5	5	4	13-11	15
„ლოკომოტ.“	14	6	3	5	13-12	15
„კრ. სოვეტ.“	15	5	4	6	12-15	14
„დნეპრი“	15	6	2	7	12-17	14
„ზარია“	15	6	2	7	12-17	14
„სპარტაკი“	14	5	3	6	14-15	13
„ჩერნომორ.“	14	6	1	7	12-20	13
„შახტიორი“	14	4	4	6	11-10	12
„არარატ.“	14	3	6	5	13-20	12
„დინამო“ ვნ.	14	2	4	8	10-19	8

კიდევ ერთი...

ბელგიის ფეხბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 2:0 (1:0) დაამარცხა ჩრდილოეთი ირლანდიის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპის მეოთხე ჯგუფის შესარჩევ მატჩში. ბელგიელები ოთხი ქულით ლიდერობენ გათამაშებას. მომდევნო ადგილებზე არიან ჰოლანდიის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და ისლანდიის გუნდები.

„ტიუნიტის“ თასზე

გუშინ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები გაფრინდნენ იაპონიაში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ „ტიუნიტის“ თასის ტრადიციულ შეჯიბრებაში. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არიან ოლიმპიური ჩემპიონი ნელი კიმი, სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი სვეტლანა გროზდოვა და ელენე დავიდოვა. ვაჟებიდან საბჭოთა გუნდის ღირსებას დაიცავენ 1976 წლის სსრ კავშირის თასის მფლობელი ვლადიმერ მარგველოვი, ვლადიმერ ტიხონოვი და ალექსანდრე ტკაჩევი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. შ. ი. ზარდალიშვილი დანიშნა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ო. გ. ხატიაშვილი გაათავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ჩვენი ცხოვრება

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს 1976-77 სასწავლო წლისათვის სალიცენზიო მიღებას წარმოებისაგან მოშორებულ — ულუბატარა ადგილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. **სუბტროპიკულ-აგრონომიული** (ქართული და რუსული სექტორები).
2. **დეკორაციული მებაღეობა** (ქართული სექტორი).
3. **სუბტროპიკულ კულტურათა ტექნოლოგია** (ქართული სექტორი).
4. **სოფლის მეურნეობის მექანიზაცია** (ქართული სექტორი).

ინსტიტუტში შემსვლელნი მიღებულ გამოცდებს აბარებენ:

ა) **სუბტროპიკული და დეკორაციული მებაღეობის სპეციალობებზე:**

ბიოლოგია* (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

ბ) **სუბტროპიკულ კულტურათა ტექნოლოგიის სპეციალობაზე:**

ქიმია* (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

გ) **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობაზე:**

მათემატიკა* (წერა) და (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

რუსულ სექტორზე შემსვლელნი ქართული ენისა და ლიტერატურის ნაცვლად გამოცდას აბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

ოქროს და ვერცხლის მედალოსნები, აგრეთვე საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, გამოცდას აბარებენ მხოლოდ იმ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით. აღნიშნულ საგანში უმაღლესი („ხუთი“) შეფასების მიღების შემთხვევაში, აბიტურიენტი თავისუფლდება სხვა საგნებში გამოცდებისაგან, ხოლო შეფასების „ოთხი“ და „სამი“ მიღებისას აბარებს გამოცდას ყველა შესაბამის საგანში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით. ჩარიცხვა — 1974 წლისათვის დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

სასწავლებელში მიიღებიან მხოლოდ ის პირნი, რომლებიც მუშაობენ არჩეული სპეციალობის მიხედვით (პროფილით).

სასწავლებლად შემოსვლის მსურველთ განცხადება შემოაქვთ რექტორის სახელზე. განცხადებას თან ერთვის: 1. საშუალო განათლების სატუო — ატესტატი ან დიპლომი (დედანი); 2. დახასიათება, რომელსაც აძლევენ საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები; 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეობათაშორის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, (სადაც ეს არ არის, შემცვლელი სატუოდან), რომელიც დამოწმებული უნდა იყოს გამგეობის თავმჯდომარის მიერ.

ჩარიცხვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შემომსვლელის შრომითს მაჩვენებლებს, ამიტომ კოლმეურნეობის მიერ გაცემულ ცნობაში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს დაწესებული მინიმუმი მოცემული წლისათვის, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა იმ მუშაკების მიერ წარმოდგენილ ცნობებში, რომელთაც არა აქვთ მუდმივი ხელფასი, აღნიშნული უნდა იქნას ყოველთვიური გამომუშავება და მიეთითოს მუშის საშუალო გამომუშავება მოცემული წლისათვის. 4. საბუდიცინო ცნობა (ფორმა № 286). 5. ოთხი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ, ზომა 3X4.

ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს (სამხედრო ვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირნი).

განცხადებების მიღება იწარმოებს 1976 წლის 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე ყოველ დღე (გარდა კვირისა) 13 საათიდან 18 საათამდე.

მისაღები გამოცდები დაიწყება 1977 წლის 3 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმდინარე კომისიაში.

ჩვენი მისამართი: სოხუმი — კილასური, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. ტელეფონი 3-39-01, 3-37-07

მიმდინარე კომისია.

სტუმრები ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან

საქართველოს ცხოვრებას ეცნობა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია. მას მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის რადიოს გენერალური დირექტორი იან რიშკა.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან ჩამოსული მეგობრები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს თ. ვ. ლაშარაშვილს, ისინი მიიღეს საქართველოს საზღვარგარეთთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის გ. ნ. ენუქიძისა და ი. რიშკას საუბარი, რომლის დროს მათ ერთმანეთს გაუზიარეს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის დარგში მუშაობის გამოცდილება.

თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაში, რომელიც საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების კოლექტიური წევრია, გაიმართა მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა ცხადყვეს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა სულ უფრო მზარდი ძმური თანამეგობრობა.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის კავშირის დელეგაცია, რომელიც კვლავ ეცნობა საქართველოს სს რესპუბლიკას, 10 ნოემბერს სოხუმში გაემგზავრა. (საქინფორმი).

პირველ ადგილზე

გამარჯვებული „სოიუზუზჩეტიზდატის“ განყოფილება

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის საკავშირო საწარმოო გაერთიანება „სოიუზუზეტიზდატის“ განყოფილების კოლექტივმა, რომელმაც ამ გამარჯვებას მიაღწია პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, პოლიგრაფიული შესრულების ხარისხის ამაღლებისა და მასალათა დაზოგვის მეოხებით.

პროდუქციის რეალიზაციის მესამე კვარტალის გეგმა 35,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა. (საქინფორმი).

სპეკულანტი — სამარცხვინო ბოძზე!

სოფლის უღირსნი

ხალხური სიბრძნე ამბობს, გონიერი კაცი ქვეყანას ამშვენებს, უგუნური კი ამძიმებსო. ეს სიბრძნე ცხოვრებით არის ნაკარნახევი. ამ კარგ ნათქვამს არც დღეს დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. უგუნურში ის თავკერძა ადამიანი იგულისხმება, რომელიც სოფელს გასდგომია და თავისთვის დაფარულად ჩალიჩობს. ასეთ ადამიანს არც სოფლის სატკივარი აწუხებს, არც ქვეყნისა.

მთელი წლის ჭირვეულმა ამინდმა ბევრი საზრუნავი გაუჩინა სოფლის მშრომელებს. აკარაში ჭერი ციტრუსებზე მიდგა. უამინდობა ციტრუსსაც დაეჩნდა. შეფერხდა ნაყოფის ზრდა-განვითარება, „ოქროს რთველმა“ მთელი თვით დაიგვიანა. წლეულს მოსავალი მარშანდელზე ნაკლებია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნაკისრი ვალდებულება არ შესრულდეს. სახელოვანმა მეციტრუსეებმა გადაწყვიტეს წლეულს სამშობლოს 80 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი მიჰყიდონ. ეს ადვილი როდია. სოფლის ის მშრომელები, რომელთაც საკარმიდამო ნაკვეთები აქვთ, ვალდებულებას კისრულობენ მთელი მოსავალი სახელმწიფოს მიჰყიდონ და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ საერთო საქმეში. მაგრამ განა ყველა ასე იქცევა? გამოჩნდნენ სულმდაბლები, რომელთა სიტყვა საქმეს დაშორდა. ამ დღეებში აჭარის შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკებმა ციტრუსის ბევრი სპეკულანტი აშბილეს.

ქობულეთის რკინიგზის მილიციამ დაიკავა დონბასელი ეგორ დემენტიევი, რომელიც ცდილობდა სასპეკულაციოდ 90 კილოგრამი მანდარინი გაეტანა. ცხადია, დემენტიევთან ერთად დანაშავე ისიც არის, ვინც მას ციტრუსი მიჰყიდა. მილიციის თანამშრომლები, ალბათ, ამ ფაქტსაც დაადგენენ.

ხელვაჩაურის რაიონის განთიადის ფოსტის გამგემ მურმან დოლიძემ გადაწყვიტა თავისი მდგომარეობა თავისებურად გამოეყენებინა. იგი შეეტუბულებაში იყო, მაგრამ ფოსტაში მიიღდა და ციტრუსებით სავსე ამანათები ივანოვო-ფრანკოვსკში გასაგზავნად გააფორმა. როგორც იტყვიან, მას კოვზი ნაკლარში ჩაუვარდა. დაეთხვის დროს მ. დოლიძემ ასე იმართლა თავი: — არ ვიცი ამანათები ვის ეკუთვნისო!

პარტიული და ადმინისტრაციული ორგანოების განსაკუთრებულმა ღონისძიებებმა თავისი შედეგები გამოიღო. შორეულ ბაზრებზე ციტრუსების გატანის მცდელობა ძალიან შემცირდა, მაგრამ გამოჩნდა ციტრუსების სპეკულაციის ახალი ფორმა — რესპუბლიკის შიგა ბაზრებზე კალათებით, ჩანთებით, უუთებით დაატარებენ ციტრუსს და მოფარებულად მამასახლად ჰყიდიან.

ბათუმის ბაზარზე ციტრუსი სასპეკულაციოდ ჩამოეტანათ ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის მცხოვრებლებს ნათელა ბერიძეს, აიშე ვარშანიძეს, ზურაბ წილოსანს, მალხაზ ზოიძეს. ამ შემთხვევის გამო ჩვენ ვთხოვეთ ახალშენის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. დუმბაძეს, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს დ. ლორთქიფანიძეს, სოფლის მოწინავე ადამიანებს ხ. აფანასიადს, თ. ჭინჭაძეს და სხვებს თავიანთი აზრი გამოეთქვათ. ისინი ვერ ფარავდნენ თავიანთ აღშფოთებას ამ სამარცხვინო მოქმედების გამო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ ნოშრეკან დუმბაძემ გვითხრა: ჩვენი კოლმეურნეობა მოწინავეა, საპატიო ჯილდოებიც გვაქვს მიღებული. ცხადია, კოლმეურნეთა სინდისიერ მუშაობას და მოქმედებას უნდა ვუმადლოდეთ. მაგრამ აი ასეთ კოლექტივშიც გამოერევნენ სულმდაბლები, რომლებმაც ჩირქი მოსცხეს სოფელს. შარშან იყო შემთხვევა — ჩვენმა ორმა კოლმეურნემ სასპეკულაციოდ ხარატოვში გაიტანა ციტრუსი. კოლმეურნეობის საერთო კრებამ ისინი მკაცრად დასაჯა, ჩამოაშორა საკარმიდამო ნაკვეთი. შორეულ ბაზარზე ციტრუსის სასპეკულაციოდ გატანა ამის შემდეგ აღარ განმეორებულა. ჩვენ ყოველგვარ ზომებს ვიხმართ, რომ სპეკულაციას მოეღოს ბოლო.

ურეხის კოლმეურნეობა ხელვაჩაურის რაიონში ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობაა. ასლან ვარშანიძემ, ლუთბია საკანდელიძემ და სხვებმა არაფრად ჩააგდეს სოფლის, კოლმეურნეობის კარგი სახელი და იგი ციტრუსის სპეკულაციით შებღალეს. ურეხელი ოსმან სანაძე კი უფრო შორს წავიდა. იგი ჭუჩა-ჭუჩა დადიოდა, მყიდველს აგროვებდა, თავისი „ეიგულით“ შინ მიჰყავდა და იქ ჰყიდდა ციტრუსს.

— მათ შეარცხვინეს ჩვენი სოფელი, — გულისწყრომით თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ ნიაზ დუმბაძემ, — მაგრამ ხალხის რისხვას სად გაექცევიან, კოლმეურნეობის საერთო კრება მათს მოქმედებაზე მკაცრად იმსჯელებს. ეს გაკვეთილი იქნება სხვებისათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა ბათუმში, მაიაკოვსკის ქუჩა № 2 სახლში სულიკო პატარიძის ბინაში აღმოაჩინეს 2.280 ცალი ლიმონი. ფოთელმა როზა ბოხუამ ქობულეთის რაიონის სოფელ გორგაძეებში სახპეკულაციოდ შეისყიდა მანდარინი, მაგრამ გატანა ვერ მოახერხა.

ჯერ კიდევ ოქტომბერში ლურჯი, უმწიფოდ ნაფლარინი იყიდებოდა ყუალტუბოს და ქუთაისის ბაზრებზე. როგორც ცნობილია, ამ მიდამოებში მანდარინი არ ხარობს, ცხადია, იქ იგი მეციტრუსეობის რაიონებიდან შეიტანეს. ახლახან მოწყობილმა რეიდმა გამომძღვანა, რომ ციტრუსს სპეკულანტები ჰყიდდნენ. როგორც ჩანს, გზებზე ყველგან მკაცრი კონტროლი არ არის დაწესებული, ხოლო ბევრ სოფელში ადგილობრივი ხელმძღვანელები, აქტივისტები უმოკმედებას იჩენენ.

სოფლის ულირსნი შვილთ ჩვენი მამა-პაპანი ყოველთვის სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ. ამიტომ ისიც უთქვამს ქართულ სიბრძნეს: სოფელს კაცი ამშვენებს, კაცს — სინდისი.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სხვა გაზეთებიდან

ფეხბურთი დღეს და ხვალ

ბერლინი. (საკადესი). ახალგაზრდულმა გაზეთმა „იუნგე ველტმა“ გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის **კლაუს ფოიერპერმის** ინტერვიუ ფიფა-ს პრეზიდენტ **ჟაო აველანჟთან** (ბრაზილია) და ფიფა-ს პრეს-შეფთან **რენე ქურტეესთან** (ლუქსემბურგი).

— როგორ აფასებენ მსოფლიო ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობას?

კურტეი: სანამეშოდ უნდა ჩათვალოს 1976 წლის ევროპის ჩემპიონატი. ეს იყო ნამდვილი ტოტალური ფეხბურთი. განსაკუთრებით შეიმჩნევა ფეხბურთის პროგრესი ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში.

— მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში 16 გუნდზე მეტი ითამაშებს?

აველანჟი: არგენტინელებს ჯერ იყო და მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება უნდოდათ 20 გუნდის მონაწილეობით, მაგრამ ხუთი სტადიონის პირობებში, ეს ილუზიაა. ერთმა კოეისპირელა წვიმამ შეიძლება მთელი ჩემპიონატი ჩაავდოს საფრთხეში. 1974 წელს ორგანიზატორთა განკარგულებაში ცხრა სტადიონი იყო, მაგრამ მაშინაც კი ბევრი სირთულე წარმოიშვა მოედნების მომზადებისას. ფინალური ტურნირის მონაწილე ქვეყნების რიცხვი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს, თუ ორგანიზატორთა განკარგულებაში საკმარისი სტადიონები იქნება. ესპანეთს ამ იდეის განხორციელება სურს 1982 წლისათვის.

— რა შესაძლებლობებს ხედავთ ფეხბურთის პოპულარიზაციისათვის?

აველანჟი: აგიტაციის ერთადერთი საშუალება თვით თამაშია. 1976 წლის ევროპის ჩემპიონატის თამაშების დონე ოპტიმიზმს გვინერგავს. ფეხბურთი უფრო პოპულარული ამით ვერ გახდება, სტადიონებზე რომ უფასოდ დაეარეგოთ შოკოლადი და კამფეტები. სანაძლეოს ვდებ, რომ რიოდე-ჟანეიროში ბრაზილიის ნაკრებისა და ევროპის ჩემპიონის — ჩეხოსლოვაკიის გუნდის მატჩზე 150 ათასი მაყურებელი მაინც მივა.

— რა დასკვნები გააკეთა ფიფა-მ არბიტრების შესახებ დისკუსიის შემდეგ?

კურტეი: ის მსაჯები, რომლებიც არგენტინაში მსოფლიო ჩემპიონატს მოემსახურებიან, სემინარებს გაივლიან. ამის შემდეგ ჩვენ თვალყურს ვადევნებთ 60 მსაჯს. უეჭველად ყოველსა, ლაპარაკია ჩვენების ერთიან განმარტებაზე. მხოლოდ ამის შემდეგ მივიწვევთ 30 მსაჯს და მათთვის ტრადიციულად ჩავატარებთ სამკვირიან სემინარს.

— რას ფიქრობთ ფეხბურთში ელექტრონიკის გამოყენებაზე?

კურტეი: მე ამას გამოვრიცხავ. მსაჯებმა, რომ იტყვიან, თვალის დახამხამებაში უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. მათ არ შეუძლიათ კონსულტაცია მიიღონ ტელევიზორისაგან და შემდეგ გადაწყვეტონ სადაო საკითხი. უარობა იქნებოდა ორი მსაჯის გამოყენებაც. ეს ახლოდან ზედმეტ კამათს გამოიწვევდა. მთავარია, რომ მსაჯმა მტკიცედ იცოდეს წესები, ჰქონდეს ძლიერი ხასიათი, იყოს უშიშარი და კორექტული.



ჩვენი ცხოვრება

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს 1976-77 სასწავლო წლისათვის სალიცენზიო მიღებას წარმოებისაგან მოშორებულ — ულუბატარა ადგილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. **სუბტროპიკულ-აგრონომიული** (ქართული და რუსული სექტორები).
2. **დეკორაციული მებაღეობა** (ქართული სექტორი).
3. **სუბტროპიკულ კულტურათა ტექნოლოგია** (ქართული სექტორი).
4. **სოფლის მეურნეობის მექანიზაცია** (ქართული სექტორი).

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ:

ა) **სუბტროპიკული და დეკორაციული მებაღეობის სპეციალობებზე:**

ბიოლოგია* (ზეპირი), ფ